



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080185260598519

№ 2893

04 / ივლისი / 2019 წ.

ამხანაგობა „ნიუ გრუფის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერების ნომრები: NAT190003727 და NAT190003733;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: ამხანაგობა „ნიუ გრუფი“ (ს/ნ: 205340503);

წერილობითი შეტყობინებების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 7 ივნისს წარმოდგენილ იქნა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 7 ივნისის № 4515-გ და № 4516-გ წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის № 6070 და № 6071), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა ამხანაგობა „ნიუ გრუფის“ (ს/ნ: 205340503) მიერ NAT190003727 და NAT190003733 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2019 წლის 4 აპრილის № 52 და № 51 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ ამხანაგობა „ნიუ გრუფის“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის ltidnewgroup2018@gmail.com მეშვეობით, 2019 წლის 10 ივნისის № 2165 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2019 წლის 4 აპრილის № 51 და 52 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების საფუძველზე, მიმწოდებელს, ხელშეკრულებების გაფორმებიდან 2019 წლის 2 ივლისის ჩათვლით, უნდა შეესრულებინა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჩნაძიანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები. № 51 ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 432 999,99 ლარი, ხოლო № 52 ხელშეკრულების ღირებულებად – 310 000 ლარი. ხელშეკრულებების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 30 სექტემბერი. მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წლის 6 ივნისის № 1158 და № 1159 ბრძანებებით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული № 52 და № 51 ხელშეკრულებები. № 51 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო 23 381,99 ლარის ოდენობით, ხოლო № 52 ხელშეკრულების საფუძველზე – 16 740 ლარის ოდენობით.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 20 თებერვალს გურჯაანის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა NAT190003727 და NAT190003733 ელექტრონული ტენდერები მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების (CPV45200000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2019 წლის 20 მარტის №25/2 და №24/2 სხდომის ოქმებით ამხანაგობა „ნიუ გრუფი“ (ს/ნ: 205340503) გამოვლინდა გამარჯვებულად NAT190003727 და NAT190003733 ელექტრონულ ტენდერებში, ხოლო 2019 წლის 26 მარტის №25/3 და №24/3 სხდომის ოქმებით იგი მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების გასაფორმებლად.

4.3. 2019 წლის 4 აპრილს მხარეთა შორის გაფორმდა № 51 და 52 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც, მიმწოდებელს, ხელშეკრულებების გაფორმებიდან 2019 წლის 2 ივლისის ჩათვლით, უნდა შეესრულებინა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჩნაძიანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები. №51 ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 432 999,99 ლარი, ხოლო № 52 ხელშეკრულების ღირებულებად – 310 000 ლარი. ხელშეკრულებების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 30 სექტემბერი.

4.4. 2019 წლის 7 და 10 აპრილის დათვალიერების აქტებიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელს № 51 და № 52 ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება დაწყებული არ ჰქონდა.

4.5. შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ კახეთის რეგიონის ტექნიკური მენეჯერის 2019 წლის 30 მაისის მოხსენებით ბარათის თანახმად, მიმწოდებელმა №51 ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულა 24 797,16 ლარის ღირებულების სამუშაოები (სრული მოცულობის 6%), ხოლო № 52 ხელშეკრულების საფუძველზე – 10 246,13 ლარის ღირებულების სამუშაოები (სრული მოცულობის 3%).

4.6. ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი გამო, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წლის 6 ივნისის № 1158 და № 1159 ბრძანებებით ცალმხრივად შეწყვიტა მხარეთა შორის გაფორმებული №52 და №51 ხელშეკრულებები. №51 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო 23 381,99 ლარის ოდენობით, ხოლო № 52 ხელშეკრულების საფუძველზე – 16 740 ლარის ოდენობით.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ ამხანაგობა „ნიუ გრუფი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2019 წლის 4 აპრილის № 51 და № 52 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეგა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. აღსანიშნავია, რომ ამხანაგობა „ნიუ გრუფს“ (ს/ნ: 205340503) 2018 წლის 4 ოქტომბერს მიეცა გაფრთხილება NAT170007989 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, ხოლო 2019 წლის 28 მაისს მიმწოდებელი დარეგისტრირდა შავ სიაში NAT170008723 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.


7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ბემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ორი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევის, ასევე მიმწოდებლის მანამდე არსებული გაფრთხილებისა და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტების გათვალისწინებით, ამხანაგობა „ნიუ გრუფი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. ამხანაგობა „ნიუ გრუფი“ (ს/ნ: 205340503) 2019 წლის 5 ივლისს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს ორი სარეგისტრაციო ჩანაწერი.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რამზაძე